საქართველოს პარლამენტის და საკრებულოს შუალედური არჩევნების
რაოდენობრივი მედიამონიტორინგი
(01.03.2022 – 02.04.2022)

კომუნიკაციების კომისია 2022 წლის 2 აპრილის საქართველოს პარლამენტის შუალედური (რუსთავის ოლქი) და საკრებულოს შუალედური (ქ. ბათუმი) არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მედია მონიტორინგის მეორე ანგარიშს აქვეყნებს, რომელიც 2022 წლის 01 მარტიდან 02 აპრილის პერიოდს მოიცავს.

საანგარიშო პერიოდში 4 მაუწყებლის რაოდენობრივი მონიტორინგი განხორციელდა. აღნიშნული სამაუწყებლო არხებია: საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია, ტვ 25, ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია და ხარისხის არხი. მონიტორინგი საუკეთესო დროს, კერძოდ, 19:00 საათიდან 24:00 საათამდე პერიოდში მიმდინარეობდა.

მედია მონიტორინგის პროცესში კომისიის დაკვირვების საგანს წარმოადგენს:

ა) წინა საარჩევნო რეკლამა;

ბ) წინა საარჩევნო დებატები;

გ) ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები;

დ) წინა საარჩევნო აგიტაცია;

ე) საზოგადოებრივი აზრის კვლევები/გამოკითხვები;

მონიტორინგის პროცესში დეტალური ანალიზი განხორციელდა სამაუწყებლო კომპანიებში წინა საარჩევნო ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის სამართლიან და გამჭვირვალე განაწილებაზე. საანგარიშო პერიოდში მთავარი საინფორმაციო გამოშვებებისა და საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემების, ასევე წინა საარჩევნო დებატების მონიტორინგის პროცესში ყურადღება გამახვილებულია სამაუწყებლო კომპანიების მხრიდან კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის დათმობილ დროზე და მათი წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებაზე. დაკვირების საგანია ასევე, მაუწყებლის მხრიდან იმ პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება, რომლებიც არ წარმოადგენენ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, მაგრამ მონაწილეობენ არჩევნებში. მაუწყებლების მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისია სწავლობს ყოველ კონკრეტულ საკითხს და ატარებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

ზემოაღნიშნული არხებზე რაოდენობრივი მონიტორინგი ჩატარდა, რაც სუბიექტისთვის დათმობილ დროს, პირდაპირ და ირიბ გაშუქებას მოიცავს. <u>**პირდაპირ**</u> დათმობილი დროის ფარგლებში ანალიზდება შემთხვევები, როდესაც საარჩევნო სუბიექტი/კანდიდატი უშუალოდ საუბრობს/მონაწილეობს გადაცემაში, <u>**ირიბად**</u> დათმობილი დროის ფარგლებში,

გაანალიზებულია მაუწყებლის მიერ საარჩევნო სუბიექტზე/კანდიდატზე, მათ მხარდამჭერებზე საუბრისთვის დახარჯული დრო.
მონიტორიგნის შედეგებში ინფორმაცია ასევე ჩაშლილია გენდერულ ჭრილში, კერძოდ, ცალკეულ მაუწყებლებზე საინფორმაციო გამოშვებების ფარგლებში ქალი და კაცი პოლიტიკოსებისათვის დათმობილი ჯამური დრო.

მონიტორინგის შედეგები:

„საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია“

ახალი ამბები: მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: „ნაციონალური მოძრაობა“ - 33,6%, „ქართული ოცნება“ - 30,3%, საქართველოს მთავრობა - 10,3%. , ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები - საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემას **„თავისუფალი სივრცე“** სტუმრობდა მონიტორინგს დავემდებარებული შემდეგი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი:
„ნაციონალური მოძრაობა“ - (ორჯერ), „ქართული ოცნება“ - (სამჯერ), „კანონი და სამართალი“ - (ერთხელ), „მოქალაქეები“ - (ერთხელ), „ლელო“ - (ორჯერ), „ერთიანი საქართველოსთვის“ - (ორჯერ).
საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემას **„მთავარი აჭარაში“** სტუმრობდა მონიტორინგს დაქვემდებარებული შემდეგი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი:
„ნაციონალური მოძრაობა“ - (ერთხელ), „ქართული ოცნება“ - (ერთხელ).
საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემსა **„სათქმელი“** სტუმრობდა მონიტორინგს დაქვემდებარებული შემდეგი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი:
„ნაციონალური მოძრაობა“ - (ერთხელ), „ევროპული საქართველო“ - (ერთხელ).
მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


აჭარის ტელევიზია
33.6%
30.3%
10.3%
8.7%
8.1%
4.6%
2.0%
0.9%
0.8%
0.6%
ნაციონალური მოძრაობა
ქართული ოცნება
საქართველოს მთავრობა
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი
საქართველოს პრეზიდენტი
აჭარის მთავრობა
საქართველოსთვის
მოქალაქეები
გირჩი


პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
მოქალაქეები 47% 53%
გირჩი 0% 100%
საქართველოსთვის 0% 100%
აჭარის მთავრობა 46% 54%
საქ.პრეზიდენტი 49% 51%
საქართველოს მთავრობა 62% 38%
ადგილობრივი მთავრობა 21% 79%
სტრატეგია აღმაშენებელი 38% 62%
ლელო 37% 63%
ნაციონალური მოძრაობა 53% 47%
ქართული ოცნება 36% 64%



„ტვ 25“

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: „ქართული ოცნება“ – 35.4%, „ნაციონალური მოძრაობა“ – 27.7%, საქართველოს მთავრობა - 12.5%, ლელო - 11.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები - სამაუწყებლო არხი „TV 25-ის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა **„პოზიცია“ .**

საანგარიშო პერიოდში გადაცემა **„პოზიცია“** გავიდა სიუჟეტები შემდეგი პოლიტიკური პარტიების მონაწილეობით: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (ექვსჯერ), „ლელო საქართველოსთვის“ (სამჯერ) და „გახარია - საქართველოსთვის“ (ორჯერ).

დებატები არ ჰქონიათ. კანდიდატებმა უარი თქვეს გამოსვლაზე.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ტვ 25“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


ტვ 25
35.4%
27.7%
12.5%
11.6%
3.6%
3.2%
3.0%
2.4%
0.6%
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს მთავრობა
ლელო
გირჩი
გახარია - საქართველოსთვის
საქართველოს პრეზიდენტი
სტრატეგია აღმაშენებელი
დროა


პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
დროა 33% 67%
სტრატეგია აღმაშენებელი 35% 65%
გირჩი 56% 44%
საქართველოს პრეზიდენტი 45% 55%
საქართველოს მთავრობა 86% 14%
გახარია - საქართველოსთვის 43% 57%
ლელო 57% 43%
ნაციონალური მოძრაობა 64% 36%
ქართული ოცნება 52% 48%



„ქვემო ქართლის ტელე რადიო კომპანია“ (ტვ4)

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: „ქართული ოცნება“ – 65.1%, „ნაციონალური მოძრაობა“ – 16.7%, საქართველოს მთავრობა – 12.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები - საანგარიშო პერიოდში „ტვ 4“-ის ეთერში საარჩევნო სუბიექტების მონაწილეობით საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა არ გასულა.

დებატები არ გამართულა. საარჩევნო ოლქში მხოლოდ ერთი კვალიფიციური სუბიექტი მონაწილეობდა არჩევნებში.

მონიტორინგის პერიოდში მაუწყებლის ეთერში საარჩევნო სუბიექტებს შორის დებატები არ გამართულა. მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ტვ 4“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


ტ34
65.1%
16.7%
12.3%
2.2%
2.1%
1.7%
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს მთავრობა
გახარია - საქართველოსთვის
სოციალური სამართლიანობისათვის
საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია


პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
სოციალური სამართლიანობისათვის
64%
36%
საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია
54%
56%
გახარია - საქართველოსთვის
14%
86%
საქართველოს მთავრობა
74%
26%
ნაციონალური მოძრაობა
72%
28%
ქართული ოცნება
56%
44%



„ხარისხის არხი“ (სამეფო არხი)

ახალი ამბები: მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: „ნაციონალური მოძრაობა“ - 30,7%, „ქართული ოცნება“ - 25,5%, საქართველოს მთავრობა - 22,9%, „ევროპული საქართველო“ - 14,5%. ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები - მონიტორინგის პერიოდში მაუწყებლის ეთერში პოლიტიკურ სუბიექტებს შორის დებატები არ გამართულა. მაუწყებელმა პირდაპირ ეთერში გაუგზავნა ოფიციალური წერილი არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ სუბიექტებს დებატებში მონაწილეობის შესახებ. ასეთივე წერილი გააგზავნა კომუნიკაციების კომისიაში.

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტებიდან გადაცემა **„ერთობიდან ერთსულოვნებამდე“** სტუმრობდა:

„საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია“ - (ერთხელ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, სამეფო არხის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


სამეფო არხი
30.7%
25.5%
22.9%
14.5%
4.7%
1.7%
ნაციონალური მოძრაობა
ქართული ოცნება
საქართველოს მთავრობა
ევროპული საქართველო
საქართველოს პრეზიდენტი
აჭარის მთავრობა


პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
აჭარის მთავრობა
100%
საქართველოს პრეზიდენტი
50%
50%
ქართული ოცნება
69%
31%
საქართველოს მთავრობა
62%
38%
ევროპული საქართველო
100%
ნაციონალური მოძრაობა
7%
93%


გენდერი
8%
92%
ქალი
კაცი